

შპს მესხეთის მეფრინველეობა ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მსს ფასს

შინაარსი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1 ზოგადი ინფორმაცია	
2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	
3 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები	
4 ფულადი სახრები	
5 სავაჭრო მოთხოვნები	
6 მარაგები	
7 ძირითადი საშუალებები	
8 ბიოლოგიური აქტივი	
9 სესხები	
10 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	
11 შემდგომი მოვლენები	

შპს მესხეთის მეფრინველეობა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფულადი სახრები	4	144,367	93,927
სავაჭრო მოთხოვნები	5	220,798	139,423
გადახდილი ავანსები		3,809	-
მარაგები	6	134,674	86,099
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		503,648	319,449
ბიოლოგიური აქტივები	7	340,183	331,634
- თვითღირებულების მოდელით		340,183	331,634
- გადაფასების მოდელით			
ძირითადი საშუალებები	8	1,076,958	786,696
არამატერიალური აქტივები		504	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,417,646	1,118,330
სულ აქტივები		1,921,294	1,437,779
სავაჭრო ვალდებულებები		176,020	255,321
ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხი		12,084	10,585
ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე		-	8,460
გადასახდელი გადასახადები		(7,824)	15,960
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		322,092	191,735
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		502,372	482,061
გრძელვადიანი სესხები	11	1,484,968	967,291
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		162,768	162,768
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,647,736	1,130,059
საწესდებო კაპიტალი		-	-
აკუმულირებული მოგება		(228,814)	(174,341)
სულ კაპიტალი		(228,814)	(174,341)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,921,294	1,437,779

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2020 წლის 18 სექტემბერს:

დირექტორი:
დავით ათუნაშვილი

მთავარი ბუღალტერი
გიორგი მესხია

შპს მესხეთის მეფრინველეობა

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2019 წელი

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	შენიშვნა	2019 წელი
შემოსავლები		
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან		2,434,955
შემოსავალი მომსახურებიდან		0
სხვა შემოსავალი		0
სულ შემოსავალი		2,434,955
ხარჯები		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,574,045)
პერსონალის ხარჯები		(253,834)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(178,874)
საოპერაციო ხარჯები ცვეთისა და პროცენტის გარდა		(2,006,753)
მოგება პროცენტამდე, გადასახადებამდე და ცვეთამდე (EBITDA)		428,202
ცვეთა და ამორტიზაცია		(76,278)
მოგება პროცენტამდე და გადასახადებამდე (EBIT)		351,924
საპროცენტო ხარჯები		(109,598)
საკურსო სხვაობები		(1,954)
სულ ფინანსური ხარჯები		(111,552)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(294,845)
მოგება მოგების გადასახადამდე		(54,473)
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/ (ზარალი)		(54,473)
დაგროვილი მოგება / (ზარალი) წლის დასაწყისში		(174,341)
დივიდენდები		-
დაგროვილი მოგება/ (ზარალი) წლის ბოლოს		(228,814)

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2020 წლის 18 სექტემბერს:

დირექტორი:
დავით ათუნაშვილი

მთავარი ბუღალტერი
გიორგი მესხია

შპს მესხეთის მეფრინველეობა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
	შენიშვნა		
ფულადი სახრები	4	144,367	93,927
სავაჭრო მოთხოვნები	5	220,798	139,423
გადახდილი ავანსები		3,809	-
მარაგები	6	134,674	86,099
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		503,648	319,449
ბიოლოგიური აქტივები	7	340,183	331,634
- თვითღირებულების მოდელით		340,183	331,634
- გადაფასების მოდელით			
ძირითადი საშუალებები	8	1,076,958	786,696
არამატერიალური აქტივები		504	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,417,646	1,118,330
სულ აქტივები		1,921,294	1,437,779
სავაჭრო ვალდებულებები		176,020	255,321
ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხი		12,084	10,585
ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე		-	8,460
გადასახდელი გადასახადები		(7,824)	15,960
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		322,092	191,735
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		502,372	482,061
გრძელვადიანი სესხები	11	1,484,968	967,291
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		162,768	162,768
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,647,736	1,130,059
საწესდებო კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება		(228,814)	(174,341)
სულ კაპიტალი		(228,814)	(174,341)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,921,294	1,437,779

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2020 წლის 18 სექტემბერს:

დირექტორი:
დავით ათუნაშვილი



მთავარი ბუღალტერი
გიორგი მჭედია

შპს მესხეთის მეფრინველეობა

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2019 წელი

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

	2019 წელი
შემაჯღლები	
შემაჯღალი საქონლის გაყიდვიდან	2,434,955
შემაჯღალი მომსახურებიდან	0
სხვა შემაჯღალი	0
სულ შემაჯღალი	2,434,955
ხარჯები	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,574,045)
პერსონალის ხარჯები	(253,834)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(178,874)
საოპერაციო ხარჯები ცვეთისა და პროცენტის გარდა	(2,006,753)
მოგება პროცენტამდე, გადასახადებამდე და ცვეთამდე (EBITDA)	428,202
ცვეთა და ამორტიზაცია	(76,278)
მოგება პროცენტამდე და გადასახადებამდე (EBIT)	351,924
საპროცენტო ხარჯები	(109,598)
საკუროსო სხვაობები	(1,954)
სულ ფინანსური ხარჯები	(111,552)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემაჯღალი/ხარჯი	(294,845)
მოგება მოგების გადასახადამდე	(54,473)
მოგების გადასახადი	-
წმინდა მოგება/ (ზარალი)	(54,473)
დაგროვილი მოგება / (ზარალი) წლის დასაწყისში	(174,341)
დივიდენდები	-
დაგროვილი მოგება/ (ზარალი) წლის ბოლოს	(228,814)

ფინანსური ანგარიშგება ბელმოწერილია 2020 წლის 18 სექტემბერს:

ღირეფტორი:

დავით ათუნაშვილი



მთავარი ბუღალტერი
გიორგი მესხია

(Handwritten signature)

გვერდი 3

შპს მესხეთის მეფრინველეობა
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წელი

	შენიშვნა	2019 წელი
საოპერაციო ფულადი ნაკადები		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		2,801,165
გადახდილი პერსონალის ხარჯები		(267,610)
გადახდილი გადასახადები		(155,829)
სხვა გადახდები		(2,587,024)
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები		(209,298)
საინვესტიციო ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებებისა და ბიოლოგიური აქტივებისთვის გადახდილი თანხები		(279,155)
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადები		(279,155)
საფინანსო ფულადი ნაკადები		
სესხის დაფარვა		(201,455)
პროცენტის დაფარვა		(10,361)
ბანკისგან მიღებული სესხები		664,952
პარტნიორებისგან მიღებული სესხები		86,350
წმინდა საფინანსო ფულადი ნაკადები		539,486
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (კლება)		51,033
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი		93,927
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად ნაშთებზე		(593)
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი		144,367

შპს მესხეთის მეფრინველეობა

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მს ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს მესხეთის მეფრინველეობა არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნებულია 2015 წელს. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 424069493. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასურსათო კვერცხის წარმოება. კომპანიის ფაქტიური საქმიანობა მიმდინარეობს საქართველოს მაღალმთიან რეგიონში, კერძოდ, ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ კლდეში. საწარმოს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 35-ს.

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

პარტნიორი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
	%	%
47001006155, ზურაბ ნასყიდაშვილი	17,50	17,50
47001000490, ავთანდილ მუმლაძე	27,50	27,50
27001000217, ბესიკ ქურასხედიანი	20,00	20,00
47001020698, დავით ათუნაშვილი	10,00	10,00
39001034208, ირინე გაბელაია-გოგია	15,00	15,00
47001001172, შოთა გიორგაძე	10,00	10,00
სულ	100.00	100.00

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

კომპანია საქართველოში მოქმედი ბუღალტრული და საანგარიშგებო რეგულაციების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციებით მას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი მონაცემები წარდგენილია მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის უწყისში, ხოლო ყველა სხვა ინფორმაცია წარდგენილია მხოლოდ ერთი პერიოდისათვის, რაც შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

2.2 ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება სასურსათო კვერცხის რეალიზაციიდან.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

2.3 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი დაითვლება მიმდინარე საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

როგორც ზემოთ აღინიშნა საწარმო დაფუძნდა 2015 წელს და ასევე მინიჭებული აქვს 2017 წლის დასაწყისიდან მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი. სსკ-ის შესაბამისად აღნიშნული სტატუსი კომპანიას ათავისუფლებს მოგების გადასახადისგან 10 წლის განმავლობაში, რაც გულისხმობს, რომ 2027 წლამდე საწარმოს განაწილებულ დივიდენდზე არ დაერიცხება მოგების გადასახადი.

2.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

(ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენიშვნები
მანქანა-დანადგარები
ავეჯი და სხვა ინვენტარი (ქათმის გალიები)
ავტომობილები

15 წელი
3-8 წელი
5-10 წელი
5 წელი

2.6 ბიოლოგიური აქტივობები

ბიოლოგიური აქტივობები ასახული უნდა იყოს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით ან ბიოლოგიური აქტივობები, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საწარმო ბიოლოგიურ აქტივს, კვერცხმდებელ ქათამს, აღიცხავს თვითღირებულების მეთოდით. ბიოლოგიური აქტივის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების რენტაბელობა არის ბიოლოგიური აქტივის მიერ სასურსათო კვერცხის დადებიდან 18 თვის განმავლობაში, სწორედ შემენილი წიწილიდან კვერცხის დებამდე ბიოლოგიური აქტივის კაპიტალიზება ხდება. მას შემდეგ რაც პირველად განხორციელდება კვერცხმდებელი ქათმის მიერ პროდუქტის მიღება, ხდება ამორტიზაციის დარიცხვა და ასევე გაუფასურების ტესტირება.

2.7 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით და ერიცხება 15% იანი ამორტიზაცია, რადგან აქტივის სასარგებლო მომსახურება ვადა განუსაზღვრელია.

2.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

კომპანია არ ახდენს წლის ბოლოს მარაგების გაუფასურების ანალიზს, რადგან კომპანიის მარაგებს წარმოადგენს სასურსათო კვერცხი, შესაბამისად არნიშნული მარაგები წარმოადგენს მოკლევადიან აქტივს, კვერცხის დადებიდან 30 დღეში თუ კვერცხი რეალიზებული არ იქნა ამ შემთხვევაში მარაგი გაუფასურებულია და ის აღარ ექვემდებარება რეალიზაციას. საწარმოში აღნიშნული ფაქტი არ დამდგარა საანგარიშგეო პერიოდის განმავლობაში და შესაბამისად არც გაუფასურების ნიშნებს არ ქონია ადგილი.

2.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

კომპანია არ ფლობს ფინანსური იჯარით მიღებულ აქტივებს.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. საწარმო იჯარითაქვს აყვანილ მსუჭუქი ავტომანქანა.

2.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგი, რომელიც შედგება საწარმოს ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისგან, თავდაპირველი აღიარებისას შეფასდეს რეალური ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება ნაყოფის მიღების მომენტში შეფასებული გაყიდვის დანახარჯები. წინამდებარე განყოფილების გამოყენების მიზნებისათვის, ეს თანხა მიიჩნევა მარაგის თვითღირებულებად ზემოაღნიშნული თარიღისათვის.

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება სასურსათო კვერცხისაგან, რომელთა თავდაპირველი აღიარება ხდება მისი სარეალიზაციო ფასით. თვითღირებულება გაიანგარიშება სასურსათო კვერცხის სარეალიზაციო

ღირებულებას გამოკლებული მისი სარეალიზაციო დანახარჯებით.

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.12 გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით.

გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.13 ფული

ფული მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.14 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.15 ბანკის სესხები და ოფერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.16 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების (მათ შორის ბონუსების) დანახარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც თანამშრომლების მომსახურებას გასწევს.

კომპანიას არ აქვს რაიმე გრძელვადიანი გასამრჯელოების პროგრამები დაქირავებულთათვის და არ ახორციელებს წილობრივ გადახდებს.

3 განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საექვო ვალების რეზერვის შეფასება

საექვო ვალების რეზერვის შეფასება ხორციელდება თითოეული კლიენტის მიხედვით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით რაც მენეჯმენტს გააჩნია ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კომპანიის მენეჯმენტი და ხელმძღვანელი რეგულარულად ახორციელებს მოთხოვნების ხანდაზმულობის და თითოეული კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზს. კომპანიის რეზერვები სამართლიანად ასახავს მოთხოვნების შესაძლო გაუფასურებას, თუმცა რეალური შედეგები მომავალში შესაძლოა განსხვავებული იყოს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

შემოსავლების აღიარება

როგორც საადრიცხო პოლიტიკაშია აღწერილი კომპანია მსს ფასს-ის შესაბამისად ამონაგებს აღიარებს პროდუქციის რეალიზაციის ხელშეკრულებისა და მიწოდების სტადიის მიხედვით.

შპს მესხეთის მეფრინველეობა

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მსს ფასს

(თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ფულადი სახრები 31 დეკემბერი 2019

	შენიშვნა
ლარები სალაროში	276
ლარები საბანკო ანგარიშებზე	55,192
დოლარები საბანკო ანგარიშებზე	88,890
ევრო საბანკო ანგარიშებზე	-
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	-
ფული და ფულის ექვივალენტები სულ	144,367

5 სავაჭრო მოთხოვნები 31 დეკემბერი 2019

	შენიშვნა
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	220,798
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	220,798

6 მარაგები 31 დეკემბერი 2019

	შენიშვნა
მზა პროდუქცია	13,327
ნედლეული და მასალები	121,347
სულ მარაგები	134,674

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება გასაყიდად განკუთვნილი მზა პროდუქციისაგან და მარაგებისგან, რომელიც გამოიყენება მზა პროდუქციის შესაქმნელად.

7 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	შენიშნები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი დ სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	20,564	517,450	35,906	321,675	8,190	903,785
შეძენები	-	172,416	1,500	174,128	22,992	371,036
გაყიდვა/ჩამ ოწერა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	20,564	689,866	37,406	495,803	31,182	1,274,821
აკუმულირებული ცვეთა						
31 დეკემბერი 2018	-	40,332	12,910	60841	3,007	117,090
პერიოდის ხარჯი	-	25,997	6,516	45,412	2,848	80,773
ელიმინაცია გასავალზე	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	66,329	19,426	106,253	5,855	197,863
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	20,564	477,118	22,996	260,834	5,183	786,696
31 დეკემბერი 2019	20,564	623,537	17,980	389,550	25,327	1,076,958

8 ბიოლოგიური აქტივი

31 დეკემბერი
2019 წელი

340,183

წლის ბოლოს საწარმოს ბიოლოგიური აქტივები ასახულია თვითღირებულების მეთოდით და წარმოადგენს კვერცხმდებელი ქათმის სახით ჯამური ღირებულებით 342,183 ლარის ოდენობით.

9 სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარში დენომინირებული სესხი ბანკისგან	530,565	392,020
დოლარში დენომინირებული სესხი ბანკისგან	344,124	-
ლარში დენომინირებული სესხი ორგანიზაციიდან	-	21,538
ლარში დენომინირებული სესხი პარტნიორებისგან	932,371	745,468
სულ სესხები	1,807,060	1,159,026

საწარმოს მიღებული აქვს სესხი კომერციული ბანკიდან, რომელიც მონაწილეობს აწარმოე საქართველოს პროექტში და შესაბამისად სარგებლობს სახელმწიფო შეღავათით სესხის პროცენტის სუბსიდირების სახით. საწარმოს ასევე ერიცხება სასესხო დავალიანება პარტნიორების წინაშე. სესხი მიღებულია პარტნიორებისგან და ერიცხება 20% საპროცენტო განაკვეთი.

10 ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მფლობელები და მენეჯმენტი.

წლის განმავლობაში მმართველი გუნდისთვის გადახდილმა ანაზღაურებამ შეადგინა 61,380 ლარი.

წლის განმავლობაში კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის გადახდა არ მომხდარა.

11 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს რაც დამატებით შესწორებებს ან ინფორმაციის გახსნას მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.